

# Mastercard-ის ვადები და პირობები და ვითიბი ბანკის კამპანია

## თქვენი დასვენების გასაღები

### 1. ზოგადი პირობები

1.1. კამპანიის თქვენი დასვენების გასაღები“ (შემდგომში – „კამპანია“) ვადები და პირობები განისაზღვრება კამპანიის ორგანიზატორის – საქართველოს სარეკლამო კომპანია შპს „დაბლიუს“ („W“) (შემდგომში - „ორგანიზატორი“) – მიერ; მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭოველიძის ქ. #11.

1.2. სარეკლამო კამპანიის პარტნიორი ბანკია სს „ვითიბი ბანკი“ – ს.კ.: 202906427 (შემდგომში - "ბანკი"), მისამართი: ჭანტურიას ქ.14, თბილისი, საქართველო.

კამპანია ხორციელდება ბანკის მიერ გაცემული ყველა სახის World Elite Mastercard ბარათის (შემდგომში - „ბარათი“) გამოყენებით POS ან/და ელ–კომერციულად საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ.

### 2. კამპანიის მონაწილეები

2.1. იმისათვის, რომ პირი გახდეს კამპანიის მონაწილე (შემდგომში - „მონაწილე“), იგი უნდა იყოს:

2.1.1. 18 წელზე მეტი ასაკის;

2.1.3. საქართველოს მოქალაქე;

2.1.4. ბანკის მიერ გაცემული Mastercard-ის აქტიური მფლობელი;

2.2. პირები, რომლებსაც არ აქვთ კამპანიაში მონაწილეობა უფლება:

2.2.1. პირები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ვადებისა და პირობების 2.1–ლი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2.2.2. ვითიბი ბანკის თანამშრომლები;

2.2.3 ორგანიზატორის თანამშრომლები;

2.2.4 პირები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალებათა კამპანიაში მონაწილეობა.

### 3 კამპანიის პერიოდი

3.1. კამპანია იწყება 2019 წლის 3 ივნისს 00:00 სთ–ზე და სრულდება 2019 წლის 31 ივლისს 23:59 სთ–ზე.

### 4. გამარჯვებული

4.1. გამარჯვებულად (შემდგომში – „გამარჯვებული“) მიჩნეულ იქნება კამპანიის მონაწილე, რომელიც კამპანიის მთელი პერიოდის მანძილზე ყველაზე დიდი ოდენობის ტრანზაქციებს (მინ. 50 ლარი) შეასრულებს, ბანკის მიერ გაცემული World Elite Mastercard ბარათით.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეთა მიერ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა ერთნაირია, გამარჯვებული გამოვლინდება ტრანზაქციის თარიღისა და დროის მიხედვით. მაგ.: გამარჯვებული იქნება ის, რომელმაც უფრო ადრე განახორციელა ბოლო ტრანზაქციას.

4.3. კამპანიის დასასრულს ტრანზაქციების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე: [www.vtb.ge](http://www.vtb.ge), სადაც მიუთითებენ 15 ლიდერი პოზიციის რეიტინგს (ტრანზაქციების რაოდენობა და ადგილი რეიტინგში). ამასთან, კამპანიის მსვლელობისას ყოველდღიურად გამოქვეყნდება მიმდინარე რეიტინგები.

4.4. კამპანია ეფუძნება გარანტირებული გამარჯვების პრინციპს: გარანტირებულ პრიზს მიიღებენ ყველაზე აქტიური მონაწილეები, რომლებსაც კამპანიის პერიოდში ყველაზე მეტი ტრანზაქცია აქვთ განხორციელებული.

4.5 კამპანიის მანძილზე გამოვლინდება 15 (თხუთმეტი) გამარჯვებული.

4.6 ბანკი თავისი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნით უფლებამოსილია განმეორებით განსაზღვროს ძირითადი გამარჯვებული, თუ არსებობს ეჭვი და/ან გამარჯვებული მხილებულ იქნა რაიმე სახის გაყალბებაში.

4.7. კამპანიის დასასრულს ყველაზე მეტი ტრანზაქციის მქონე მონაწილეები დასახელდებიან გამარჯვებულებად. გამარჯვებულები გამოვლინდებიან კამპანიის დასრულებიდან 3 სამუშაო დღეში. გამარჯვებულთა შესახებ სრული ინფორმაცია გამოქვეყნდება კამპანიის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ბანკის ვებ-გვერდზე: [www.vtb.ge](http://www.vtb.ge)

## 5. კამპანიის პირობები

5.1. კამპანიაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა განხორციელონ ვითიბი ბანკის მიერ გაცემული World Elite Mastercard ბარათებით არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ლარის ტრანზაქცია POS ტერმინალის ან ინტერნეტის მეშვეობით საქართველოში და საზღვარგარეთ.

5.2. ბანკი არ ითვალისწინებს ტრანზაქციებს, რომლებიც გაუქმდა, დაბრუნდა ან დაკავშირებულია ფულადი თანხის გატანასთან. კამპანიაში არ გაითვალისწინება ტრანზაქციები, რომლებიც განხორციელდა ამ კამპანიის დაწყებამდე, ასევე, ფულადი გადარიცხვები, რომლებიც განხორციელდა World Elite Mastercard საბარათე ანგარიშიდან ფიზიკური და/ან იურიდიული პირის ანგარიშზე საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციებში და აზარტული თამაშისთვის განხორციელებული ტრანზაქციები.

5.3. ბანკი, თავისი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილია გააუქმოს მონაწილეობა, თუ არსებობს ეჭვი მონაწილის არაკეთილსინდისიერების მიმართ ან თუ მონაწილე არღვევს კამპანიის წესებს.

5.4. გამარჯვებულმა პრიზები უნდა გამოიყენოს 2019 წლის 31 ოქტომბრამდე.

## 6. კამპანიის საპრიზო ფონდი

6.1. კამპანიის საპრიზო ფონდი მოიცავს შემდეგს:

- სტანდარტული ნომერი რომელიმე შემდეგ სასტუმროში: შერატონ ბათუმი, სასტუმრო Castello Mare Hotel & Wellness Resort, პარაგრაფი კურორტი და სპა შეკვეთილი, რუმს ყაზბეგი, კრაუნ პლაზა ბორჯომი, Radisson Collection Hotel Tsinandali Estate

- შერატონ ბათუმში, Castello Mare Hotel & Wellness Resort–ში, პარაგრაფი კურორტი და სპა შეკვეთილში, რუმს ყაზბეგში, კრაუნ პლაზა ბორჯომში, Radisson Collection Hotel Tsinandali Estate–ში – ორი ადამიანი ორი ღამით - რაოდენობა: 15

6.2. გამარჯვებულს უფლება აქვს თავად აირჩიოს სასურველი სასტუმრო.

6.3. ორგანიზატორი არ იღებს პასუხისმგებლობას, თუ შერჩეულ სასტუმროში კონკრეტული თარიღისთვის არ აღმოჩნდება თავისუფალი ნომერი.

იმ შემთხვევაში, თუკი სასურველ (ბარათის მფლობელისთვის) დღეებში სასტუმრო შევსებულია და თავისუფალი ნომრები არ არის ხელმისაწვდომი, ორგანიზატორს შეუძლია ბარათის მფლობელს შესთავაზოს უახლოესი (თარიღის მიხედვით) ნომერი.

6.3.1. განთავსება რომელიმე შემდეგ სასტუმროში (საუზმით): შერატონ ბათუმი, სასტუმრო Castello Mare Hotel & Wellness Resort, პარაგრაფი კურორტი და სპა შეკვეთილი, რუმს ყაზბეგი, კრაუნ პლაზა ბორჯომი, Radisson Collection Hotel Tsinandali Estate.

6.4. ორგანიზატორი სრულად არის პასუხისმგებელი პრიზიდან გადასახადების გამოქვითვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.5. არ დაიშვება პრიზების შეცვლა ექვივალენტური ოდენობის ნაღდი ფულადი თანხით.

6.6. პრიზების მახასიათებლები განისაზღვრება ბანკის/ორგანიზატორის შეხედულებისამებრ, იგი შეიძლება განსხვავდებოდეს რეკლამებსა და საინფორმაციო მასალებზე დატანილი გამოსახულებისგან და, შესაძლოა, არ დაემთხვეს მონაწილეთა/გამარჯვებულების მოლოდინს.

## **7. გამარჯვებულისთვის პრიზის გადაცემის პირობები**

7.1. გამარჯვებულის გამოცხადების მომდევნო დღიდან გამარჯვებულმა წერილობით – შერჩეულ თარიღამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე – უნდა აცნობოს ორგანიზატორს სასურველი ვადების და სასტუმროს შესახებ.

7.2. თუ შერჩეული თარიღებისთვის შერჩეულ სასტუმროებში ნომერი ხელმისაწვდომია, ორგანიზატორი ვალდებულია აცნობოს ბარათის მფლობელს მიღება-ჩაბარების აქტის შესახებ.

7.3. გამარჯვებული პასუხისმგებლობას იღებს წარდგენილი დოკუმენტების სიზუსტესა და ვალიდურობაზე. დოკუმენტების ასლები უნდა იყოს მკაფიო.

7.4. ბანკი/ორგანიზატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს გამარჯვებულს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა პრიზის მისაღებად.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არასრული და/ან შეუსაბამოა ან თუ არსებობს ეჭვი დოკუმენტების სიყალბის თაობაზე, გამარჯვებული ავტომატურად კარგავს სტატუსს და გაირიცხება კამპანიიდან.

7.6. თუ გამარჯვებულს არ აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს პრიზი ორგანიზატორისგან/ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ორგანიზატორი/ბანკი არ გადაუხდის გამარჯვებულს კომპენსაციას.

7.7. თუ გამარჯვებულს არ აქვს შესაძლებლობა/არ სურს მიიღოს პრიზი ორგანიზატორისგან/ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ორგანიზატორი/ბანკი არ გადაუხდის გამარჯვებულს კომპენსაციას.

7.8. იმ შემთხვევაში, გამარჯვებული ვერ შესძლებს თარიღების/სასტუმროების შერჩევას 2019 წლის, 16 ოქტომბრამდე, პრიზის გადაცემაზე ორგანიზატორს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

## **8. სხვა პირობები**

8.1. ორგანიზატორის/ბანკის ყველა გადაწყვეტილება კამპანიის წარმოების საკითხებთან დაკავშირებით განიხილება, როგორც საბოლოო და გავრცელდება ყველა მონაწილის მიმართ.

8.2. ორგანიზატორსა და ბანკს უფლება აქვთ არ აწარმოონ მიმოწერა ან არ დაამყარონ სხვაგვარად კონტაქტი მონაწილეებთან, მათ შორის, არ შევიდნენ ვადებისა და პირობების 4-ე პუნქტის შესაბამისად გამარჯვებულის დადგენასთან დაკავშირებულ დავებში მონაწილეთა შორის.

8.3 მონაწილეები პირად პასუხისმგებლობას იღებენ კამპანიის პირობების შესაბამისად ყველა მოთხოვნის შესრულებაზე.

8.4. კამპანიაში მონაწილეობით მონაწილეები ადასტურებენ, რომ სრულად ეთანხმებიან ვადებსა და პირობებს, მათთვის გასაგებია ეს ვადები და პირობები და იღებენ ვალდებულებას დაიცვან იგი.

8.5. ორგანიზატორი და ბანკი არ არის პასუხისმგებელი, თუკი მონაწილე ვერ შესძლებს ვადებისა და პირობების შესაბამისად ნებისმიერი თუ ყველა მოთხოვნის შესრულებას, კამპანიის პრიზის მიღებას/გამოყენებას რაიმე მიზეზით (მათ შორის (და არა მხოლოდ), ფორს მაჟორული გარემოებისა თუ პირადი გარემოებების გამო, რაც არ არის დამოკიდებული ორგანიზატორზე/ბანკზე). ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი/ბანკი არ გასცემს მონაწილე პირზე რაიმე სახის ანაზღაურებას.

8.6. მონაწილე იღებს პირად პასუხისმგებლობას მიწოდებული ინფორმაციის საიმედოობაზე.

8.7. კამპანიაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. კამპანიის კონტექსტში პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი არის ორგანიზატორი.

პერსონალური მონაცემები, როგორცაა სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, დამუშავდება მხოლოდ კამპანიაში მონაწილეობის, გამარჯვებულებისადმი შეტყობინების გაგზავნისა და პრიზების გადაცემის მიზნით. პერსონალური მონაცემები ინახება საქართველოში და არ გაუზიარდება მესამე პირებს ზემოთ აღნიშნული მიზნების გარდა რაიმე სხვა მიზნით. კამპანიაში მონაწილეობით, თქვენ ეთანხმებით თქვენი პირადი მონაცემების ზემოთ აღწერილ გამოყენებას. თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოხსნათ თქვენი თანხმობა, მაგრამ ვეღარ შეძლებთ მონაწილეობის მიღებას. წინამდებარე კამპანიის დასრულების შემდეგ ბანკი/ორგანიზატორი – კანონითა და რეგლამენტით დაშვებული მაქსიმალური მოცულობით – დაუყოვნებლივ გაანადგურებს ან დაავალებს სხვებს, რათა განადგურდეს ყველა მასალა, რომელიც შეიცავს პერსონალურ ინფორმაციას და მისი ასლები, რომლებიც მის მფლობელობაშია ან რომელთაც ფლობს მესამე მხარე მის მიერ პირადი ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად (ასეთის არსებობისას) და მოთხოვნის შემთხვევაში გამარჯვებულებს/მონაწილეებს წარუდგენს პირადი ინფორმაციის განადგურების წერილობით დასტურს.

8.8. პრიზის მიღებით გამარჯვებულები თანხმობას უცხადებენ ორგანიზატორს, რომ გამარჯვებულის ფოტო/ვინაობა და ვიდეო მასალა გამოყენებულ იქნება სარეკლამო მიზნებისათვის ნებისმიერ მედია-საშუალებასა და სოციალურ არხზე დამატებითი თანხმობის გარეშე.

## **9. კამპანიის საინფორმაციო არხი**

9.1. კამპანიის ვადები და პირობები შეგიძლიათ იხილოთ: [www.vtb.ge](http://www.vtb.ge)

9.2. ორგანიზატორს/ბანკს უფლება აქვს ბანკის წინასწარი თანხმობის საფუძველზე შეცვალოს კამპანიის ვადები და პირობები. კამპანიის მონაწილეებს ასეთი ცვლილებების თაობაზე ეცნობებათ ვებ-გვერდის მეშვეობით, სადაც გამოქვეყნდება შესწორებული ვადები და პირობები.